



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 174/ს
30/06/2022

174-21-4-202206301041



გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაკურციხის მიმდებარედ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაკურციხის მიმდებარედ, ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 6 ნოემბერს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1050).

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთი იწყება სოფ. ბაკურციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სარკინიგზო ხიდის მიმდებარედ და მიუყვება ქვემო ალაზნის სარწყავ არხს და გრუნტის გზას. აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთი მთავრდება ქ. წნორში, საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზისა და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-131) გუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს საგზაო კვანძიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 600 მეტრში. საავტომობილო გზის დერეფნის სიგანე შეადგენს 35 მეტრს, ხოლო სიგრძე დაახლოებით 16 კილომეტრს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი საავტომობილო გზისა და მიმდებარე დასახლებული პუნქტების ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთთან სრულყოფილი წვდომის უზრუნველსაყოფად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია, გარემოზე ზემოქმედების

შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის პროექტში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელება. კერძოდ, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია ორდონიანი სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარის) მოწყობა, რომელიც აღნიშნულ მონაკვეთს დააკავშირებს ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელ საავტომობილო გზასთან. პროექტის სხვა მახასიათებლები/პარამეტრები დარჩება უცვლელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საწყის მონაკვეთზე, სარკინიგზო ხიდის მიმდებარედ (GPS კოორდინატები: X-572474.8053 Y-4617263.189; X-572462.8371 Y-4617263.034; X-572269.1117 Y-4617401.838; X-572268.4099 Y-4617414.585; X-574064.4378 Y-4617463.66; X-574091.0937 Y-4617485.364; X-583171.9093 Y-4607749.116; X-583182.6945 Y-4607735.872; X-583409.9204 Y-4607924.229; X-583400.4426 Y-4607938.564). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 640 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩალაუზნისხევი - 15 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სატრანსპორტო კვანძის სავალი ზოლის სიგანე იქნება 4,50 მ, რომლის ორივე მხარეს მოეწყობა 1,0 მ სიგანის ხისტი (მოასფალტებული) და 1,5 მ სიგანის რბილი (მოხრეშილი) გვერდულები. პანდუსის სრული სიგანე იქნება 9,50 მ. გზაგამტარის მაქსიმალური ქანობი აღმართში შეადგენს 7%-ს, ხოლო დაღმართში - 8%-ს. სატრანსპორტო კვანძის კონსტრუქციულ ნაწილში განთავსდება ერთმალისანი, 14 მ სიგრძის გზაგამტარი ხიდი (სიგანე - 9,50 მ, სიმაღლე 4 მ), რომელიც დაფუძნდება 2 ფუნდამენტზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გზაგამტარის მოწყობის სამუშაოებში გამოყენებული იქნება: 2 ამწე, 2 ბულდოზერი, ექსკავატორი, ავტობეტონამრევი, ავტოთვიმცლელი, ასფალტის დამგები და სარწყავი მანქანა. სამშენებლო მოედნის სიახლოვეს მოეწყობა საქმიანი ეზო, სადაც განთავსდება სადარაჯო ჯიხური, სასაწყობე კონტეინერი და 2 ერთეული ბიოტუალეტი. სამუშაოების დაწყებამდე საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრი შემოიღობება და მობილიზდება შესაბამისი ტექნიკა. შემდგომ ეტაპზე, მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, დამუშავდება მიწის ზედაპირი და განთავსდება სატრანსპორტო კვანძის შემადგენელი ინფრასტრუქტურა. გზაგამტარის მოწყობის სამუშაოებისათვის დამოუკიდებელი სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალა შემოვა მზა სახით. სატრანსპორტო კვანძის განთავსების შემდგომ საპროექტო ტერიტორია დასუფთავდება და განხორციელდება რეკულტივაციის სამუშაოები. გზაგამტარის მოწყობის სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა იქნება 180 დღე და დასაქმდება 15 ადამიანი, რომლებიც განთავსდებიან მიმდებარე საცხოვრებელ სახლებში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სატრანსპორტო კვანძის მოწყობის პროცესში, წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით (ტერიტორიის დასანამად). საპროექტო ტერიტორიაზე სასმელი წყალი შემოვა ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო დანიშნულების წყალი - ავტოცისტერნებით და დაგროვდება სპეციალურ ავზში (მოცულობა - 1000 ლიტრი). საპროექტო ტერიტორიის მოსარწყავად საჭირო ტექნიკური წყლის აღება დაგეგმილია მდ. ჩალაუბნისხევიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება 20 მ³ ტევადობის საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა განხორციელდება საჭიროებისამებრ, საასენიზაციო მანქანების მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სატრანსპორტო კვანძის მოსაწყობად გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გზაგამტარის მოწყობის სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (640 მ) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სატრანსპორტო კვანძის მოწყობა დაგეგმილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში შესწავლილ ტერიტორიაზე, შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დამატებითი გეოლოგიური კვლევები არ ჩატარებულა. სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოები არ გამოიწვევს საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ფიქსირდება 0,1-0,2 მ სიმძლავრით. სატრანსპორტო კვანძის მოსაწყობად გათვალისწინებული სამუშაოების საწყის ეტაპზე დაგეგმილია 250 მ³ მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება, რაც განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სამშენებლო

სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტი (3000 მ³) სრულად იქნება გამოყენებული პროექტის საჭიროებისათვის, უკუყრისთვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გზაგამტარის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების ძირითადი რისკები დაკავშირებული იქნება გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. სკრინინგის განცხადების თანახმად, მდ. ჩალაუბნისხევზე და გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესამცირებლად გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები: ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გამართვა საპროექტო ტერიტორიის გარეთ მდებარე ტექნომსახურების ობიექტებში; სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობის მუდმივი კონტროლი; ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის რეცხვა საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ ავტოსამრეცხაოებში; გზის საფარის მოწყობის სამუშაოების განხორციელება მხოლოდ მშრალ ამინდში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. სატრანსპორტო კვანძის მოწყობა დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც არ გვხვდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. გზაგამტარის სამშენებლო სამუშაოების პროცესში მერქნიანი მცენარეების გარემოდან ამოღება გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სატრანსპორტო კვანძის მოწყობა ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გამოკვლეულ ტერიტორიაზე, რაც დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაკურციხის მიმდებარედ, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს მდ. ჩალაუბნისხევიდან ტექნიკური დანიშნულებით ასაღები წყლის რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს მდ. ჩალაუბნისხევის დაზუსტებული ჰიდროლოგიური და მორფოლოგიური პარამეტრების სააგენტოში წარმოდგენა;
4. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 6 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
5. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 6 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო